

ԱՅՀԱԿ  
№ 7 1981 թ.




ՀԱՅԱՍՏԱՆ  
ՀԱՅԱՍՏԱՆ



ISSN 0130 1624





გონილი ფასტაცია 5



მთაში ზეიმობს სოფელი. ზეიმობს ომალო თავის აღორძინებას, განახლებასა და გამრავლებას. არწივების საბუდარში მილე-თის ხალხმ. მოიკარა თავი.

საერთო სახალხო ზეიმში მონაწილეობდნენ სკუპ ცენტრალუ-რი კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართ-ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკუპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ე. მ. ტიაშელნიკოვი, ამხანაგები გ. ნ. ენუ-ქიძე, ჭ. ა. პატარიძე, ჭ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარ-ტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე უ. კ. შარტავა, სამინისტროებისა და უწყე-ბების ხელმძღვანელები.

ასეთ, დღის გველაში უნდა ვიდო წოთ, რათა გზა გადავდომოთ უსახლავ-  
რო ვიარალებისა და სამხედრო აკადემიურების მოვარდელო კოველი ღონი-  
ულა ვიხსაროთ, რათა უსრულებელოთ ადამიანთა სიცოცხლის უფლება. და ამ  
საქამიანი არ ვიარებული იქნინ გარემონ და გულგრილი: იგი ეხება გველას და  
ტიტორობას. იგი ეხება მთავრობებას და პოლიტიკურ პარტიებს, საჭიროადობას  
რომელისაც და, რა თეთვა უნდა ხდეს, ხალხთა მიერ არჩეულ და მათი სახელით  
მომავალ არცავადობას.

ლ. Օ. ՑՐԵՑԵՑՈ



საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს

# ଦୋଷାରାତ୍ରି ପାଇଁ

ԱՐԵՎԵԼՈՒՄ ԱՀԱՅԱՅԵՑԻԿԱ և ՏԱՐԵԿԱ

საგვირობა სოციალისტური რესტუდო-  
კების კავშირის უმაღლესი საბჭო, რომე-  
ლიც შემცირებულია ობის გაზრდითი  
საფრთხის, გამაღლებული შეიარაღების არ-  
ნახული გაჯანების გამო, მიმართავს მხო-  
ლიოს პარლამენტებასა და ხალხებს.

სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭო ამ მიმა-  
რთვით გამოდის მაშინ, როცა შესრულ-  
და 40 წელი ჩვენს სამშობლოზე პიტლე-  
რული ფაშიზმის თავდასხმის დღიდან.  
საბჭოთა ხალხი თავს ხრის ომში დაღუ-  
პული იცი მილიონი თანამედროველის ნა-  
თელი ხსოვნის წინაშე. მეორე მსოფლიო  
ომშა აურაცხელი უზედურება და გაჭირ-  
ვება მოუტანა მოელ კაცობრიობას. ჩვენ  
დიდ პატივს მივაგებთ ყველას, ვინც თა-  
ვი დაღო აგრძესის წინააღმდეგ, ქვეუნად  
მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მეტადი იყო ისტორიის გაკვეთილი, მეტადი მეტად დამატებული იყო მოხარეთ ხალხებს ის, რომ ვერ მოხერხდა ომის თავიდან აცილება, შექმნილი საფრთხის დროულად ადგვეთა. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ტრაგედია კვლავ განმეორდეს. საჭიროა უკელატერი ვიღონოთ და უნდა ვიღონოთ კიდევ. რომ არ დაუშვათ ახალი მსოფლიო ომი.

პლანეტა უკვე ისედაც დამიმტკულია  
მასობრივი მოსპობის იარაღით. მაგრამ  
მისი ზრდა გრძელდება, იქმნება სულ  
უფრო დახვეწილი დამლუპველი იარა-  
ღი. მზადდება მოედნები ასობით ახალი  
ბირთვული რაკეტისათვის დასავლეთ ევ-  
როპაში. ომის მოტრიუალებს სურთ შე-  
აჩვიონ ადამიანები დანაშაულებრივ აზრს,  
თითქოს დასაშვები იყოს ბირთვული  
იარაღის გამოყენება.

მძაფრდება პოლიტიკური დაბაზულობა. კელავ ამყარებენ იმედს სამხედრო უპირატესობის მიღწვევაზე, ალაპარაკებული მუქარის ენით. აშკარად აკენებენ სხვა ქვეყნებისა და ხალხების საქმეებში ჩარევის პრეტენზიებს. და ყოველივე ეს ინიციატება ტლანჯი მონაცორით: „საჭიროა სამხედრო საფრთხის“ შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა კავშირი არავის არ ემუქრება, არ ესწრაულვის კონფრონტაციას არც ერთ სახელმწიფოსთან დასაკლეთში თუ აღმოსავლეთში. საბჭოთა კავშირი არ ესწრაულდა და არ ესწრაულის სამსედრო უპირატესობას. იგი არ ეყოფილა და არც იქნება გამაღლებული შეიარაღების ახალი ეტაპების ინიციატორი. არ არის ისეთი სახეობის შეიარაღება, რომლის შეზღუდვას, აკრძალვას არ დაეთანხმოს იგი ნაციალგების საფუძველზე სხვა სახელმწიფოებთან მორიგებით.

ჩევნს ბირთვულ საუკუნეში დაიღოგა, მოლაპარაკება თანაბრად სჭირდება კველას, ისევე როგორც სჭირდება მშვიდობა, უშიშროება, მომავლის ჩრდება. ახლა არ არის ოუნდაც უმწვავესი და ურთულესი სადაც პრობლემების გადაკრის სხვა გონიორული ხერხი, მოლაპარაკების გარდა. არც ერთი არხებული შესაძლებლობა არ უნდა გავუშვათ ხელიდან. დრო არ ითმენს!

მოლაპარაკებისათვის დაკარგული ყოველი დღე ზრდის ბირთვული კონფლიქტი

ტის რისკებ. გვერდზე იდება თითოეული  
ხალხისა და ყველა ხალხის წინაშე მდგო-  
მი ხარსებო პრობლემების გადაწყვეტა.  
დრო არ ითმენს!

დღეს ყველა, ვინც თავისი მოქმედებით  
აქტებს გამალებულ შეიარაღებას, მხოლოდ  
ადამიანთა მასობრივი მოსპობის  
საშუალებათა შემდგომ დაგროვებას, ქა-  
დაგებს ძალის გამოყენებას სახელმწიფო-  
თა სადაც საკითხების გადაწყვეტის  
დროს ან უბრალოდ ოვალს არიდებს სა-  
დღეისოდ მსოფლიოსათვის შექმნილ სა-  
ზიშროებას, ფაქტობრივად უფსერული-  
საკენ უბიძგებს კაცობრიობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კულტურული განვითარების საკანონმდებლო ორგანიზმის მოუწოდებელი, მტკიცებული დაუჭირონ მხარი მოლაპარაკებას, რომლის შედეგადაც დაუშვებელი გახდება რაკეტულ-ბირთვული შეინარჩუნების ახალი ტური, — პატიოსან, თანასწორულფლებიან, რაიმე წინასწარი პირობისა თუ დიქტატის დღვებისაგან თავისუფალ მოლაპარაკებას.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს იმედი  
აქვს, რომ მის მიმართვას განიხილავენ  
მთელი ყურადღებით, როგორცაც იმსახუ-  
რებს თანამედროვეობის ეს უმნიშვნე-  
ლოვანესი, უმწვავესი საკითხი. იგი დარწ-  
მუნებულია, რომ პარლამენტებს საჭირო  
პრეზიდენტის და ავტორიტეტი აქვთ  
საიმისოდ, რომ ეფექტუანად ილგაწონ  
მოლაპარაკების გზით გამაღებული შეია-  
რაღების ალაგმისა და განიარაღებისათ-  
ვის. თავის მხრივ სსრ კავშირის უმაღლე-  
სი საბჭო კვლავაც შეიტანს წლილს ისე-  
თი ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც  
ხელს შეუწყობს მოლაპარაკების მეშვეო-  
ბით დადებითი შედეგების მიღწევას.

მშვიდობა კაცობრიობის საერთო კუთვნილება, ჩვენს დროში კი მისი არსებობის უპირველესი პირობაც არის. მხოლოდ ერთობლივი მეცადინებობით შეიძლება და კიდევაც უნდა შევინარჩუნოთ და საიმე-დოდ უზრუნველყოფით იგი.

მოცეკვით, პრეგლი. 1981 წლის 28 ივნისი.

პროლეტარები უვილა მივიყნისა. შეიტყვით!

# כָּבֵד

№7 (535). ՈՅԼՈՒՅՈ, 1981

ურნალი გამოდის 1928 წლიდან  
უკველთვისი საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიტერატურო  
სახატვით უნიკალური

მთავარი რედაქტორი

କେତୀ ଧରନାଙ୍କାଳୀ

© „ԸՆԹԱՑԱ“, 1981 թ.

სარეკლამო კომპანია

გულნარა ბაზტავი,  
 იონების გოგოლეავი  
 (მ/გ. მდივანი),  
 ნათოლა გორგოზიანი,  
 იონერა ნოდია  
 (მხატვარი-რედაქტორი),  
 ლადო სულაგვერიძე,  
 ლევან დობიაშვილი,  
 ილია თაბაღლეა,  
 შერემ დოსანაშვილი,  
 შერემ დოსანაშვილი.





ბის სამკერვალო ფაბრიკამ გახული ნლის ოქტომბერში შეასრულა. გეგმის გადამეტებით 14 მილიონი მანეთის საკუთხეს პროცესუალი გამოუშვა. მოულ კოლექტის დაუზახდა თავდაცებული შრომა — ფაბრიკა ხალხთა მეცნიერობის ორდენით დააჯილდოვა.

შუქი გვიან ღამით ქრება სამუშაო კაბინეტში. ლუარა საქმეს რა გამოულევს და შინ ნასელას არ ჩერაობს. ამას ნინათ დირექტორი იმ დღეს მიღებულ ფოსტას ათვალიერდდა. ერთ-ერთ კონვენციზე შეაჩერა მზერა. დედის ხელანერი იცნო და უმაღლ გახსნა. კითხვა დაიწყო: „ჩემი ლუარა, ძალზე გვენატრები. ვიცი, დატვირთული ხარ, მაგრამ იქნებ გამოძებნო რო და ერთო-ორი დღით მანც ჩამოხვიდე სოფელში, მამაშენიც გელოფება“.

ზურგით სკამს მიეყრდნო, გაირინდა. შემდეგ ისევ ნერილს ჩააჩერდა, მოგონებებში ჩაიძირა და საკუთარ თავთან დაიწყო საუბარი:

— ორულუ, ჩემი ორულუ, რამდენი ნელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაგტოვე და ქალაქს გამოვეშურე. შერე და რა რიც მიყვარხარ! ბავშვობის ტებილი მოსაგონარი ორულუ ჩემთვის მთელი ქვეყნირებაა, ისე კი — ზუგდიდის რაიონის ერთი პატარა სოფელი.

ორულუს მინაზე ფეხი ავიდგი, ცოდნას ვეზიარე, გავცეროდა მნენედ შეუენილ ხასხასა ჩაის პლანტაციებს, ატეხილ ჭალებს, ესუნთქვადი გამჭვირვალე პაერით, ვტკებოდი სიმწვანისა და გაზაფხულის საამი სურნელით.

სასანკლებლის კიბები უკანასკნელად ჩავირბინე. საშუალო სეოლის კედლებს დავემშვიდობ. გამოსაშვებ საღამოზე შემაქეს — ოქროს მედალი დამსახურებულად მიიღო. თანატოლებმა კაბა მომინებს, ლილილობით დამშვენებული გიხდება. ძალიან გაუკერდა, რომ ჩემი შეკერილი იყო.

შინ სიხარულით მიიღიქარიდი. შარაზე ახალგაზრდების ყიუინა და უინიების წყარი მაცილებდა. სახლის ზღურბლზე ფეხი შევდგი და შშობლები ბედნიერი ლიმილით

შემომეგებნენ, მამას — ძველ პედაგოგს, ახარებდა ჩემი ნარჩატება, დედა სიხარულით დაუსუსესებდა, მეოცნიდნენ, მეცერებოდნენ, და-ძმაც ინანილებდა ჩემს სიხარულს.

გადავწყვიტე — თბილისის პოლიტენიკურ ინსტიტუტში, მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე — სამკერვალო ნარმოების ტექნიკოლოგიის სპეციალობით გამეგრძელებინა სინაცლა. კერვა პატარაობიდანვე ბები მარიამმა შემაცვარა და მისმა შეილიშვილმაც სინაცლე კერვის სპეციალისტად გახდომა ვისურვე.

სტუდენტი გავხდი. რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, თითქმის ორი ათეული ნელი — ახლა კი ახალი გზები და ამოცანები ისახება ჩემს ნინაშე.

...ნერილი დაცუა, სათუთად ჩადო კონვერტში, შეინახა. ამ შეათავირას უსათუოდ უნდა მოვინახულო შშობლებით, გაიკლო გუნდებში, შეუქი ჩააქრო, კარი გამოხურა და შინისენ გაემართა.

დირექტორი საამქროდან საამქროში დაბიჯებს. მისი ფეხიზელი თვალი ყვალა კუთხე-კუნძულს წვდება. გუგუნებენ მანქანები, მუშები კერავენ ტანსაცმელს.

ამ ტანსაცმელს მომხმარებელი ყიდულობს, მაღლ შეფასებას აძლევს. და ეს ხომ დიდი ჯილდო, ჯილდო, რომელიც უნარიანა დირექტორშა ლუარა გვაჯაიმ და ფარიკის მთელმა კოლექტიმა მოპოვეს.

\* \* \*

ლუარა გვაჯაია ამჟამად ახალ ობიექტს — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანს“ ხელმძღვანელობს. ფაბრიკას თავმოსაწონი ბევრი არაფერი გააჩნია. მოვიდა ახალი ხელმძღვანელი, გამოცდილი, უნარიანი, კარგი ორგანიზატორი. მოვიდა, თან მოიტანა ახალ განზღვეული მგზნებარება, ცოდნა, საქმის სიყვარული, შრომელი ადამიანის დაფასება და, ევზო არ არის, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“ მაღლ ჩემი რესატლიერის მოწინავე სარამოთა რიგვების ჩადგება.

## ნინო კირთაძე

# ლექსი



## გ ა ხ ს ე ნ ე ბ ე

მე დავიბადე გვირილების კორიანტელში და ალუბლების ყვავილების აკანი მქონდა — დაუსარულებელ ნეტარების ნმინდა ღამეში ბებერი თუთა სიყვარულზე რომ მიამბობდა.

ორქიდების სინაზეთი განებივრებულს, ყოველი დღილა სასანაულად მეჩვენებოდა და მიხაროდა თბილი სხივით გამოლვიძებულს ფაქიზი გრძნობაც ყვავილივით რომ იშლებოდა. ყველა მიყვარდა და მეცეროდა ყველა ნათელის — გაძარცულ ბალში მნუხარებით თვლებს შემოდგომა, მე დავიბადე გვირილების კორიანტელში და ალუბლების ყვავილების აკანი მქონდა.

\* \* \*

ქარი არხევდა ტანძმიმე ფარდებს,

თეორ აივანზე ქალები წუხდნენ,

რომ სეტყვამ კეირტი მოუსპო ატმებს,

რომ ქმარი გვიან დაბრუნდა წუხელ,

რომ ტყეში ვილაც მოკლული ნახეს,

რომ მარტის წვიმებს არა აქეს ბოლო

და მერე დიდხანს აქმევდნენ ბალებს

რძისფერ ფაფას და ვარდისფერ ბოლოებს.

\* \* \*

სასახლის ბალიც ვარდისფერმა კვამლმა დაათრო, თუმცა ზამბაზი კვლავ ცოიდა გარღვეულ ციდან, მებალემ ზღაპრის საიდუმლო ყველას გაანდო და დასასარული ჩუმ მხევლებსაც აღარ უკერდათ. კვლავ ყველაფერი გატეხილი გზით იწყებოდა, ლოფაში პრინცზე საუბრობდნენ ქალები ცივად, ტყეში ფერმერთალი ღამეების გუნდი მღერიდა და ბეთოვენის აკორდებით უკავდა წვიმა.

## გ რ ზ ე ბ ი ძ ე

ჯალო-ქალაქში მიმავალი მზინი გზები ბავშვურა ხელით დახატული ისევ ცისფერით,

მნვანე უდაბნოს დაშრეტილი იაზისები

მოულონებად ახდენილი სიზმრების ფეხთით.

გადამლა ნახატები მღრიე ქარებით...

მას მერე ბევრი თმაბმლილი მზეა ნასული,

უცნობი სტუმრის დაჩინილი ხელთამანვით

ვარდისფერ მტვერში მომონებით იცდის ნარსული.

\* \* \*

ატმისფერად თოვდა ყვავილების ფიფები, მზე ატირდა ფრთხილი ისევ ცისფერით,

ლალისფერი ჭიქით ცამ დალოცა იცლა —

ატმისფერად ცრიდა...

ლერნამტან სხივზე დასრიალდა ნამი,

ლცნებების შუქით ციმციმებდა ნამი,

ვარდისფერ კვამლით დაინისლა მინა —

ატმისფერად ცრიდა.

## ნ ე კ ა ლ ლ ე ნ დ ე ს ე

ლურჯ მწვერვალებს მიღმა ვის დაეძებს ქარი?

ტანციმციმა სხივმა მოსტაცაო თვალი.

იქნებ ღრუბლებს დასდევს, აისისფერ ღრუბლებს,

შუბლებათეათა მთაზე მიფანტ-მოფანტულებს.

— რად შრიალებს ღამით ტანცლიერი მუხა?

— ყვავილების ნამით ვინ დამთვრალა წუხელ?

— ქარი ღრუბლებს მისდევს, არ იღლება განა?

— ფეხები გვითხარით ისევ, ქალბატონო ანა!

# ლერნა

## გ მ უ მ ა ზ ა ს

## სოფელი

### მოითხოვს ..

სეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა, პროფესორმა ირაკლი ციციშვილმა რედაქტორას აცნობდა:

„გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისის, „სამების“ აღასადგენად საჭირო საპროექტო დოკუმენტი შედგენილია, აღდგენით სამუშაოებს დავიწყებთ წელსვე.

მანანა ორბელიანის საფლავის ქვა, რომელიც ძლიერი იყო დაზიანებული, ჩვენს მიერ შეეტებულია და დაუბრუნდება თავის პირვანდელ ადგილას.

რედაქტორ აღნიშნულ საკითხის გასარკევად მიმართა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამმართველოს.



შემაც და შინაურმაც, რომ ჩაიტქრებული და უწევულოდ გულგათხოვის  
ლი გახდა. რუსული ჟურნალ-გაზეთები გამოიწერა, მერე რუსული ანბა-  
ნის შესწავლა დაწყო, გულმოდგინედ, მუყაითად.

შეისრავლა კიდევ. სამოცდაათ ნებს გადაცილებულმა ჭირნანახმა დედამ შეისწავლა რუსი ხალხის ენა.

მიიღო ჯარისკაცის დედამ ბარათი უკრაინიდან, ლიპოვეცის რაიონის სოფელ ზოზოვიდან. დამსახურებული მასწავლებელი თედორე პოლსკი სენერდა, რომ ალიოშა სალამბერიძე და მისი ფრონტტელი მანაფაუცი მიხეილ მიშაკვით ნამდვილად მათ სოფელში არიან დაკრძალული.

„1941 ნლის 21 ივნისს ორი მეტყვიამურქვევე ჩევნი სოფლის შემაღლებულ ბორცვზე, სამრეკლოსთან ჩასაფრდა. ისინ მთელი დღის განმავლობაში გმირულად იგერიობდნენ მტრის შემოტევებს და ასობით ფაშისტების გამოასამძინ სიკონახლეს“, — ნერდა დამსახურებული განაცვლებული.

ამ ბარათს შეიორე ბარათი მოჰყვა — კრასნოდარის ქალაქ ნორილს კიდან.

სამეცნიერო სამსახურის თადარიგის ლეიტენანტი ანა კოვალენკო იტენის მობილური მობილური არმიის ნაწილების უკან დახვევის დროს საკუთარი თვალით დაინახა მიშაკოვი და შალამბერიძე თავიანთი ტყვია მორჩევაზე მომდევნო როგორ ავიზუან სოფლის ბორცვზე...

შემდეგ? შემდეგ რა მოხდა? დედის გონიერაში თანდათან დალაგდა პატივული ძაღლი და თითქოს ნათლად დაინახა, რაც მოხდა.

...ფაშისტები გაათრებით უტევენ სოფელ ზოზოვთან განალებულ ნიოდელარმიელებს. დაჭრილი ლეიტენანტი უტევოვი, გადარჩენილ მებრძო ლეპთან ერთად, იძულებულია, უკან დაიხიოს. მიშაკოვს და შალაბერიძეს დაევალათ, ბორცვზე ჩასაფრდნენ, ფაშისტები შეაჩერონ და ხელი შეუწყონ საბჭოთა მებრძოლების უკან დახვევას.

ცოტა ხის შემდეგ ბორცვზე ჩვენიანებიდან მხოლოდ შალამპერიძე და მიშაკოვი დარჩენა.

დაინტერესული ბრძოლა. ორი გმირი, ორი ძმადნაუკიცე ჯარის კაცი მთელი დღის განმავლობაში გზას უკეტავდნენ ფაშისტებს. არ წყდე ბოდა არი ტყვიამფრქვევის კავანი. ირგვლივ დენთის კვამლი ტრიალებდა გერმანელები ხოსტით მოიწვევდნენ ნინ. მეტი გზა არ იყო, შალამბერიძეები და მიშაკოება სამრეკლოზე აიტანეს ტყვიამფრქვევები. აქედან უფრო კარგად მოჩანდა გარემო: სოფლის ბოლოს მდინარე ბუგი მიიკლანება ბორცვზე ცაცხვისა და აკაციის დალენილი ხეები ყრია. ისევ იწყება გა აფთრებული ბრძოლა, ისევ შეუჩირებლად კავანებენ ტყვიამფრქვევები. დაშინ, როცა ვაზნები გაუთავდათ, ძმადნაუკიცებმა პიტლერელთა ტყვეო ძას გაუკარუნ სიკვდილი ამჟობინებს...

უსახელო ბორცვი მათი გმირობით სამუდამოდ სახელოვანი გახდა.

არავის დაუნახავს მათი სიკედილი, არაენიაა ამ ამბის უშუალო მონაცემი. მაგრამ ისინი, უკეთესად, ისე გმირულად დაცენენ, როგორც დედოფლიქონბას. ასე სჯერა დედას, დედური უტყუარი ალლოთი სჯერა.

ოცდათექვსმეტი ნლის შემდეგ მონახა დედამ შვილის საფლავი: მდინარე ბუგის სამხრეთით, ლიპოვეცის რაიონში, სოფელ ზოზოვში ერთად განისაკუნძბდეს მეომარი ძმები — მიშაკოვი და შალამბერიძე.

ნავიდა ჯარისკაცის დედა შვილის საფლავის სანახავად. თან გაჟყვრიდილებულთა დაკავებაცია.

სტუმრებს ჩევეული პურ-მარილით შეეგებნენ ზოზოველები.  
ორივე ჯარისკაცი დაიტირა დედამ. შვილს გულზე დააყარა მშობლი  
ური მიწა, რამათნიში მიძირა შეითხოს საკუთაროან აკო თა მწირ სასკ

ମିଶନିପାଦମି ହୋଲାର୍ଡ ରୁପିଯାଟେ ହୋଲାର୍ଡ ଅମ୍ବଲିଆ ଅମ୍ବଲିଆ ହୋ

მერე ზუგდიდებებმა ჩათოვს მაგნიტოფონი. გული აათოთოლა ნაცნობმა მელოდიამ. სიმღერამ შემოიმალლა, თითქოს ზეცამდე აიჭრა და ტრაპი.

...დღანან მაღლა ბექობზე,

შექმნის დაბლა ველი ძევს...  
აწკრიალდა, ალულუნდა, ატირდა ოცდაოცხვსმეტი წლის ნინათ შექმ

ნილი სიმღერა.  
მოციდა დედა საფლავთან, დაიჩოქა და თქვა:

— აქამდე მკვდარი მეგონე, შეილო! თურმე ცოცხალი ყოფილხარ. მადლიერი ვარ ყველასი: ამ სიძლერისაც, გაზეთისაც, კეთილი ხალხისაც. ყველამ მიშველა და მომანახვინ შეილო. მოელმა ქვეყანამ იგრძნო ჩემი გულისტყვილი... თითქოს გამიცოცხლდნენ ალიოშა და მიხეილი. ახლ მე, ორი ვაჟშვილი მყავს...

ამ სიტყვებში მოყვასისათვის ყველაფერი გასაგები, თბილი ადამიანურია... მეტის თქმა აღარ არის საჭირო. მხოლოდ დაეძეროცა ჯარისკაცის დედას ჩახედავთ თვალებში, აუცილებლად ყულში პატარა ბუროვით გაგზისირებათ ბოლმა. ფრონტ შეიკავეთ თავი, თორემ, იცოდეთ, აუცილებლად ატირდებით!



# ԲԱՑՈՅ

ეთერ ლოდარიპა,  
შუსიპისაცოდნე

„თბილისო, მზის და ვარდების მხარეები“... სად არ გაიგონებთ დღეს ამ მელოდიას; იგივე ითქმის კომპოზიტორ რევაზ ლალიძის სხვა ნაწარმოებთა შესახებ. რევაზ ლალიძის სიკეთითა და სიყვარულით გამობარ მელოდიებს სამი ათეული წელია მოერის დიდი თუ პატარა.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო, შოთა რუსთაველისა და ლენინური კომეკშირის პრემიების ლაურეატი ო. ლალიძე ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დამოუკიდებლად დაეუფლა ვიოლინოზე დაკვრას და თავისი უზადო მუსიკალური მონაცემებით სპეციალისტთა ყურადღება მიიყრო. შემდეგ თბილისის IV მუსიკალურ სასწავლებელსა და კონსერვატორიაში, ასპირანტურაში სწავლის წლები, გამოჩენილი კომპოზიტორისა და პედაგოგის ანდრია ბალაბჩივაძის გაკვეთილები, პროფესიული დაოსტატების ხანა...

„ჩემი შემოქმედების გარეურავი ბავშვობის ბეღდნიერ ჭარ-  
სულს აბარია, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც IV მუსიკალური  
სასწავლებლის მოსწავლე გახდლით, — იგონებს კომპოზიტორი,  
— ვიოლინოზე დაკვრას ვაწველობდი პროფესორ ლ. იაშვილის  
კრამში. ძევე ძისტავლეთა სიმებიან კვარტეტში პირველ ვიოლი-  
ნოზე ვუკრავდი... მასხველს, ჩვენს ერთ-ერთ კონცერტს ესწრებო-  
დნენ კომპოზიტორები დ. არაყიშვილი, ა. ახტრიაშვილი და პრო-  
ფესორი შ. ასლანიშვილი. „ნორჩა“ ორკესტრმა ნორჩი ივტორის  
ნაწარმოებები შეასრულა. ეს გახდათ ჩემი პირველი მინიატუ-  
რები: „მგზავრული“, „იავნანა“, აღმოსავლური ცეკვა“. კონცე-  
რტის შემდეგ დ. არაყიშვილმა მიმიხმ და საკომპოზიციო განნ-  
რით სწავლის გაგრძელება მირჩია“.

საბილომო ნაშრომი ფეხბედნები აღმოჩნდა ახალგაზრდა ქომპოზიტორისთვის. კონსერვატორის დამთვარების შემდეგ ჩევაზ ლაიონის ნიჭი საოცრად სწრაფად და მრავალმხრივად განვითარდა. მალე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მისი სახით ქართულ მუსიკას დიდი ხელოვანი შეემატა.

კომპიუტორის მხატვრული ინტერესები არ ითარგლება ერთი რომელიმე უანჩით. შემოქმედების ოცდაათი წლის მანძილზე იგი მუსიკალური ხელოვნების მრავალ უანჩს შეეხო: სიმფონიურს, საოპეროს, საგუნდოს, სარიმანოს, კამერულ-ინსტრუმენტულს და არაერთი შესანიშნავი ქმნილებით გაამდიღრა ეროვნული მუსიკოსური საჯანმრთო.

დიდია ჩევაზ ლალიძის დამსახურება სასიმღერო ეანრში, თანამედროვე ლირიკული სიმღერის განვითარებაში.

მრავალფეროვანია კომპოზიტორის შემოქმედებითი თემატიკა. პატრიოტიზმი და სინამდვილეა მისი მუსიკალური შთაგონების მთავარი წყარო. ჩევაზ ლალიძე თავისი აზროვნებითა და მეტყველებით, ესთეტიკური მრწამისით თანამედროვე ხელოვანია კომპოზიტორს ძალიან იზიდავს; ადამიანი, შინაგანი საჭარბო; მი-

სი გმირი ყოველთვის გარმომცეველ სინამდვილესთან მჭიდრო  
კავშირშია.

რ. ლალიძის ქმნილებებს ხალხური შემოქმედების სსვადასხვა ნაკადი ასაზრდოებს, რომლის სათავე ქართული საყოფაცხოვრებო მუსიკის ქალაქურსა და სოფლურ ტროში უნდა ვეძიოთ.

ჩ. ლალიძე ორგანულად არის დაქავშირებული ხალხურ მუ-  
სიკალურ საუნგესთან, ერის სულიერ კულტურისთან. „ცა-ფი-  
რუზ, ხელეთ-ზურმუხტოვანი“ საქართველო, ქართველი ხალხი,  
მისი გმირული წარსული, ნათელი აწმყო და მომავალი ასაზრ-  
დოებს ხელოვანის შთაგონებას. ხალხური საგანძურიდან იგი ფა-  
ქიზად აჩერეს მისთვის ესოდენ საჭიროს, ტიპიურს, შემდეგ კი  
შემოქმედდითად ავითარებს, აზოგადებს და ახლებურად ამე-  
ტყველებულს წარმოგვიღებენ. სწორედ ამიტომ გაიდგა ღრმად  
ფესვები მისმა შემოქმედებამ ხალხის გულში.

ცხოვრების ღრმა ცოდნა ამდიდრებს ხელოვანის შემოქმედებას. როცა ხელოვანის ქვეცნობიერი სამყარო ხალხური სიბრძნით გამიღიდრდება, როცა ხალხურ მელოდიაში ჩაღვრილ განცდას — სიხარულსა თუ ჭუხილს შეისისხლხორცებს, ნაწარმოებსაც უთუოდ ამავე ენაზე აამეტველებს, ოღონდ საკუთარ, განსხვავებულ ხმაზე „... ასე სწამს რევაზ ლალიძეს, ასე ესახება ჭეშმარიტი ხელოვანის დანიშნულება და, აღბათ, ამიტომაც უკველთვის საკუთარ ხმაზე, ლალიძისეულ ხმაზე აკლერებს თავის „ჩაგნეს“, სწორედ ამიტომაც ქმნის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობით აღსავსე ამაღლებული ლირიკის შესანიშნავ ნიმუშებს.

კომპოზიტორი მეტად მომთხოვნია საკუთარი თავისიადმი. ამაზე მეტყველებენ მისივე სიტყვები: „მრავალჯერ ვუძრუნდები ნაწერს, თითოეულ მუსიკალურ ფრაზას. სანაც მის დახვეწილობაში არ დავრჩეულდები, მანამ ვერ გავამხელ. „დაულვინებელ“ მელოდიას ხალხს ვერ მივაწვდი. „მარანში“ ოთხი წელიწადი ვინახავდი „ბალადას ვაზზე“. სხვა ნაწარმოებებიც ასევე აბარებდნენ ხანდაზმულობის გამოკლას“.

დიან, პასუხისმგებლობის გრძნობა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანთაგანია რ. ლალიძის შემოქმედებითი ბუნებისა, მისი პიროვნებისა. რ. ლალიძის შემოქმედება — ეს არის საჩვენებელი პიროვნების სულიერი რაობისა, იგი საუკეთესო მაგალითა კეთილშეინილების, უბრალოების, თავმდაბლობის, სიკეთის, ვაჟა-ცობის, სტუმართმოყვარეობის.

რევაზ ლალიძე ერთი ასეთი ნიჭიერი შემოქმედია. იგი მხუ-  
რვალე პატრიოტი, მშობლიური ბუნების მოტრფიალე ხელოვანი  
და საყვარელი ადამიანია”, — წერს პროფესორი პავლე ხუჭუა.

დიან, შობლიური ბუნება, სამშობლოს მთა-ბარის არაერთ-  
ხელ გამზღვარა კომპრზიტორის შთაგონების მასაზრდებელი წყა-  
რო. ალბათ, ამიტომაც უყვარს ბუნების წიაღში განმარტოება,  
ალბათ, ამიტომაც არის ოვეზაობა და ნადირობა მისი „ჰობი“.

„თვეებ ვერ წარმოიღებთ, რა საინტერესო და რომანტიკულია მონაღირის ცხოვრება. ერთი ყიზილ ქილისაში გამყოფათ, ზაქათალა შემოვგატარათ, კახეთის მინდვრებზე გაგიყვანათ, ალაზანზე ჩერენს ძმაკიც მებორნებ ბერუჟასთან ერთად შუაცეცხლთან ამბები მოგასმენინათ და მაშინ მიხვდებით, თუ რა არის ნადირობა“, — ამბობს კომპოზიტორი.

საქართველოს წარმტაცი ბუნების, მისი პოეტური პეიზაჟების ხილვით არის შექმნილი ლალიძის „ელევია“ — პიგეა ჩელოსთვის, რომელმაც „გუდამაყრის“ ფსევდონიმით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის კონკურსში გაიმარჯვა.

რ. ლალიძის პირველი შემოქმედებითი წარმატება ორმოცანი წლების მიწურულს უკავშირდება, როცა გერ კიდევ V კურსის სტულენტმა (1949 წ.) სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“ შექმნა.

შემდგომი დიდი წარმატება სიმფონიური მუსიკის უანრში

კომპოზიტორს მოუტანა ბრწყინვალე მინიატიურამ „საჭიროან“ (1952 წ.), რომელიც დღემდე არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობას.

თერმად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რ. ლალიძე დრამატულ თეატრსა და კინოხელოვნებაში. მისმა ოპერეტებმა („მეგობრები“, „კომიტეტი“) გარკვეული როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის განვითარებაში.

რ. ლალიძის შემოქმედლობაში განსაკუთრებული აღვილი უკავია კინომუსიკას, რომლის სპეციფიკასაც იგი საოცრად ფაქტზად და ღრმად გრძნობს. ამ უანრში შშვენივრად გამოვლინდა კომპოზიტორის დრამატურგიული ალლო და ხედვა. უფრო შეტეი —

ბევრი საუკეთესო ფურცელი რ. ლალიძის შემოქმედებისა სწორედ ამ ქანქთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ფილმები: „საბუდარელი ჭაბუკი“, „ხევსურული ბალადა“, „გლანის ნამბობი“, „ხევისტერი გოჩა“, „კეთილი ადამიანები“, „რაც გინახავს, ვეღონ ნახავ“, „ყვავილი თოვლზე“, „ზეიგენის ქბილი“, „განგაში“ და სხვ. რომელთა სიმღერებმაც პირდაპირ ხალხში გადაინაცვლა და დღესაც განაგრძობენ სიცოცხლეს. ასე დაიბადა ლალიძის „სიმღერა თბილისხე“ (სიტყვები პ. გრუზინსკისა), რომელიც პირველად სწორედ კინოფილმ „მზიურმხარეში“ აუღრდა დები ჩაფიჩაძების შესრულებით. დღეს კი მას მსოფლიოს მრავალი ცნობილი მომღერალი თუ მუსიკისმოყვარული ასრულებს; მათ შორის: ბერძენი მომღერალი იოვანა, ფრანგი კოლეტ არნარი, ინგლისელი ჯერი სკოტი....

ჭანსაღი ლირიზმითა და რომანტიკულობით, პოეტური აღმაფრენითა და შთაგონებითაა აღსავსე რ. ლალიძის „ბალადა ვაზ-ზე“ (ი. ნონეშვილის ტექსტზე), „ოდა მესხეთს“, „მთაწმინდა“, „ტყე შეუნახე შვილებსა“ და სხვ. კომპოზიტორს ღიღი წვლილი შეაქვს აგრეთვე ქართული მასობრივი სიმღერის განვითარებაში; მაგალითად: „სიმღერა პარტიაზე“, „სიმღერა ლენინზე“, „ოქტომბერი მოაბიჯებს“, „სტუდენტების სიმღერა“, „გულის ლალადა“, კანტატა „საქართველო“..

რ. ლალიძის ბევრი სიმღერა პრემიორებულია. 1972 წელს ქა-  
სიმღერო ეანრში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მას ლენინური  
კომკავშირის პრემია მიენიჭა, 1975 წელს კი შოთა რუსთაველის  
სახელმობის პრემიის ლაურეატი გახდა.

კომპიუტორის მხატვრული ინტერესები მცირე ფორმის ნაწარმოებით როდი იფარგლება. შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მის ყურადღებას იპყრობს ისეთი როტული სინთეზური კანტი, როგორიცაა ოპერა. მისი შესანიშნავი ლირიკულ-ჰეროიკული ოპერა „ლელა“ — პატრიოტიზმისა და უმანქო სიყვარულის თემაზეა დაწერილი. ამ ოპერამ დიდი გამარჯვება მოუტანა კომპოზიტორს.

„ლელა“ სამართლიანიად დამკიდრდა ჩვენი საოპერო თეატ-  
რის რეპერტუარში; ოპერას დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე მო-  
სკოვში 1976 წელს. „ლელამ“ საბჭოთა კავშირის საზღვრებიც  
გადალახა — 1979 წელს იგი ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეს  
საოპერო თეატრში დაიტანა.

1978 წელს კომპოზიტორს ოპერა „ლელასათვის“ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ეს მაღალი ჯილდო კიდევ უფრო მეტს ავალებს სახელმისამართის მოუწოდებელი კვლავაც გააძლიდოს ეროვნული მუსიკალური საგანძურო ახალი ქმნილებებით; ამასთანავე, თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვას ახალგაზრდა მუსიკოსთა კადრების აღზრდის საპატიო საქმეში, პედაგოგიურ ფრონტზე, რომელსაც ეწევა ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში — იგი მუსიკალური ფაკულტეტის კათედრის გამგეა.

ხალხის საყვარელ ხელოვანს, მაღალნიჭიერ კომპოზიტორსა  
და საზოგადო მოღვაწეს — რევაზ ლალიძეს ყველა მუსიკოსის  
სახელით, მისი მუსიკის მოვკარულთა სახელით გულითადად ვუ-  
ლოცავთ დაბადების 60 წლისთავს, უსურვებთ ჯანმრთელობასა  
და ახალ შემოწმებებით სიხარულს.



თოლია გავაუდი

*მარტინი*

### სემყარო ჩემი გულიქ ჩიმი

მუდამ სავსეა მზით და სინათლით,  
არა ღამდება ჩემს სამყაროში,  
გული იწვის და...  
წვის ათინათის  
სამყვიდვებელში სტუმარს რა მოშლის?!

ღია მაქვს კარი,  
უკელასთვის მყოფნის  
ნათელი მზის და მოვარის ვერცხლისა,  
რომ გაუმძაფრდეს სურვილი ყოფის  
მეხთატეხისგან იერშეცვლილსაც.

ვარ მასინძელი ქარის და ტალღის,  
მოძრაობაა ჩემი სტიქია,  
ამ სამყაროში შემოსვლა არ ღირს,  
თუ გოლგოთაზე არ გიფიქრია.

დღე-ღამ უსიტყვოდ და უხმაუროდ  
ვეპატიუები უკლებლივ უკელა —  
უჩინებლოდ და უსაზღაუროდ  
ვისაც მოყვასის სწადია შველა;

მზადაა ვინაც იქცეს კუნძულად,  
რომ განწირული გემი გადარჩეს  
და მიეშველოს ზოგჯერ უძლურიც,  
უიმედოს და უკელა დანარჩენს;  
სიცოცხლის ფასად, მზადაა ვინაც —  
ქაოსს წესრიგის შუქი მოშფინოს,  
გაუყოს სითბო,  
უბოძოს ბინა,  
ობოლს ობლობა არ აგრძნობინოს.

სამყარო ჩემი ერთი წვეთია  
და ჰარმონიის მცირე წილია,  
წვეთიც სიმრავლის შენაერთია,  
უფალს ამად არ გაუწიოს.

და იარსებებს წვეთი-სამყარო,  
გულნამცეცობის ცივი სამარე,  
რომ სიხარულის ნერგი ახაროს  
და არ დაგვტოვოს დარდის ამარა.

ღია ფანგრებით და ღია კარით,  
ებატიუება დღემუდამ უკელა —  
უსამართლობით ვინცაა მწყრალი,  
ვისაც მამულის სწადია შველა.

# ჩემი ჩარტები

მზემს, მეც მუშა ვკრ

მაშტოცებს ის დღე, ლექსს რომ ვერა ვწერ.

უოველდღე გული ლექსად უნდა გადავუშალო  
იალ-კალით მოხბდლულს და  
ცისკენ მაცერალს,  
მგონია, მუშამ გავაცდინე დღე სამუშაო  
იმ დღეს, როდესაც  
ვირ შევიძელ ლექსის დაწერა.

### მე დე ნერგიზი

ბაღში მეძინა, თავზე მაღვა ზეცა კრიალა  
და საწოლიდან ვეხებოდი მიწას საფიცარს,  
სუნთქვამ კი არა, ხმამ კი არა, ჩეამბა კი არა,  
გაშლილ ნარგიზის სურნელებამ გამომაღვიძა.

ძილლივიძილშივე ვგრძნობდი მზეში მცურავ სამყაროს,  
გაზაფხულს ვგრძნობდი იმ საცარა სურნელებაში  
და დღე ულრუბლო, დღე ნათელი, დღე სათაყვანო,  
მხურვალე მკერდში მისუტებდა, როგორც დედა შვილს.

წამოვიმართე და მოწყვიტე ნარგიზი ერთი,  
დილის ცვარ-ნამით განბანილი, ასული წმინდა,  
მზეთუნახვი თუ არსებობს ამგვარად თეთრი,  
ანდა ფანტელი, უნებლივდ მომწყდარი ციდან.

უცნაურია, ამ უბრალო უკავილის გამო,  
უკელა ქვენა ფიქრს შეეცვალა უერი საოცრად,  
მისმა ხიბლმა და სისპეტაკემ მოელი დღე, ძმაო,  
კაცური კაცის სიცოცხლით და განცდით მაცოცხლა.

### სურამის ციხე

ამ ციხეს ჰქვია სურამის ციხე —  
მთლად საქართველოს დარდი მარადი,  
სულის უკელა ხიბს აქ სევდით გვირჩევს  
დედის ძახილი: „ზურაბ, სანამდი?“

მომწოდებელი — ქუდზე კაციო,  
მსგავსი ხმა ქვეყნად არსად მეგულვის,  
დაბადებულის მთის საარწივოდ,  
ციხის კედლები ჩატანებულის.

უკელა სურამი აქაა ერის,  
ბოლავს და ბოლავს დარდის ბუხარი,  
რწვის და ზეცას აქატისფერით  
ლებავს საურკი და საწუხარი.

ისმის ჩხარუნი ჩემინის ბორკილის  
და აკანგალებს დახისხლულ ვარდებს,  
რომ უსასოუმდეს მტერთან მორკინალს  
ვინ იცის ვის და ვინ იცის რამდენს!

ციხის კედლებზე ციმციმებს ღვივი —  
ქართველთა ცორმლი შეუშრობელი  
და ღვივის, ძველი ჭრილობა ღვივის  
უკელა შვილის და უკელა მშობელის.

ღვივის, რომ სხივი შემატოს ნათელს  
და რომ მამულის აწმუოთი ნეტარი,  
ციხის კედლებიან გამოსულ ქართველ  
ერის წარსული ულირდეს მეტად.

აზერბაიჯანულიდან თარგმანი ვარა უშაუებელი.



იოსებ გოგებაშვილი



შავდა ლაპარაკი




გურამ ჭავჭავაძე




გელა ტიცენავა



გრიგორ თოიძე




რევაზ თაბაშვაშვილი



გია ჭავჭავაძე

**შოთა რუსთაველის  
სახელობის  
პრემიის  
პალი  
ღაურეათები**



რობერტ სტურუა


შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებს ნიჭიერ შემოქმედთა კიდევ ერთი ჯგუფი შეემარტა. ამ სახელოვანი ჯილდოს ლირსეული მფლობელი გახდნენ: იოსებ ნონე შვილი (სუკვ-დილის შემდეგ), მუშნი ლასურია, გურამ ფანგიძე, სულხან ცინცაძე, გრიგოლ (გივი) თოიძე, რევაზ თაბუქაშვილი, რობერტ სტურუა, გია ყანჩელი, მირიან შველიძე, რამაზ ჩინკვაძე, შოთა ყავლაშვილი, მარიამ (მერი) დავითაშვილი.

უურნალ „დროშის“ საჩედაქციო კოლეგია უურნალის მრავალათასიან მკითხველთან ერთად გულითადად ულოცავს შოთა რუსთაველის სახელობის 1981 წლის სახელმწიფო პრემიების ახალ ლაურეატებს სამშობლოს ამ მარალ ჯილდოს, უსურვებს მათ შემოქმედებით წარმატებებს, ჯანმრთელობას და ყოველივე სიკეთეს პირად ცხოვრებაში.


გულდასაწყვეტია, რომ ამავე სიტყვებით ვერ მივმართავთ გამოჩენილ ქართველ პოეტს, ჩვენგან უდროოდ წასულ იოსებ ნონე შვილს.



მირიან შველიძე



რევაზ გერეაძე



შოთა ჭავჭავაძე



ვერი ღავითაშვილი







26 ივნისს დიდი ზეიმით ჩატარდა საბჭოთა საქართველოს მილიციის მე-60 წლისთავის ზეიმი. ზეიმში მონაწილეობდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, არმიის გენერალი ნ. ო. შჩოლოვი.

ივანე დვალის ფოტო





ՔԸՆՈՒ

ՁՅՈԼԵԱԾՈ






ფელიქს პრიმაპის და

მარხან აჩვეაპის ფოტო.





୧୨୦ ଟୋଲି ଜୀଶେଖାଲେଖା ଏକଣ ପାହନତ୍ୱେଳି କମ୍ବାତ୍ମିକ ବାଚୀ- ପଞ୍ଚବୀଳୀର ଏବଂ ବୀରପ୍ରତିଷ୍ଠାନ



୨୮୪୯

საოცარია მწერლის ბედი,  
ანუ ბედი ცხოვრებაზე დაძექ-  
ვირევებლისა. ნეტავ ვინ მო-  
გონა ამისთანა საქმიანობა? ან  
რაღა მაინცდამაინც მე მხვდა  
იგი წილად? ხომ შეიძლება  
ერთ შვენიერ დღეს გამოხ-  
ტეს ვიღაც და საქვეყნოდ გა-  
მოაცხდოს: მოაცილეთ ეგ ეპ-  
ცი ამ საქმიანობას, სადაური  
დაქვირვებელი ეგაა, როცა  
იმასაც ვერ აჩჩნევს, რაც მის  
კეგირწის ხდებაო.

ჰინდა, რავილა გული წინას-  
წარ მიგრძნებს, ეს ამბავი არ  
ამცდება, მორჩევნია, მე ვთქვა:  
მართლაც დაუკვირვებელი კა-  
ცი ვარ და მინდა აქვე შეგნე-  
სენიორ ერთი სასაცლო ამბავი  
ამ ჩემი დაუკვირვებლობის  
დასტურსაყოფა.

ს ტუდონტობის ხანს ერთ  
შვენიერ გოგოს დავუახლო-  
ვდი, რომელსაც წინა თავი-  
სავ ქალაქელი ფეხბურთელი  
ჰყორებია და წარამარა ძალა-  
ი გონიერდა. მე კი ამ მწარე მოგო-  
ნებათა გასაქარვებლად ნაზალ  
კუოცნიდი, როცა წამიერად  
სულს მოითქვამდა. და არც  
შევმცდარვარ, ვინაიდან სწყი-  
ნდა კი არა, ბევრჯერაც უთ-  
ქავს, ასე მგონია, იმ ფეხ-  
ბურთელს მართლა დავივიწეუ-  
ბო, თუმცადა კოცნის შედეგად

შუაზე გამწყდარ მოგონებას  
გაგრძელება ზუსტად იმავე ად-  
გილიდას ერთხელაც არ და-  
ვიწყებია. მაგრამ ის გოგო ისე  
მომწონდა, იმ გოგოს კოცნა  
ისე მატებობდა, მისი მოსმენი  
არ მეტზრდებოდა. ასე გაგრძ-  
ელდა თითქმის ორი თვე დ-  
ეს ორი თვე ძალზე კმაყოფი-  
ლი ვიყავი ჩემი თავისა.

იმხანად ერთი ძმაკაცი მყავა  
და, ვისაც ვუამბე ამბავი ჩემ  
სიყვარულისა, საერთო საცხო  
ვრებელში ჩეგნი ოთახებ  
ერთმანეთის პირობპირ იყო.

ერთხელაც შევედი ჩემს ძმა  
კაცთან და რას ვხედა: დგა  
ჩემი სატროზ და ქურაძე კატ  
ლეტებს უწევას. გაოცებისგა  
ჯერ სახიად დავრჩი, მერე კ  
ა ა ა ა

სულ უბრალოდ აეხსენი გულ  
ში: სატრფო აღმათ ჩემთა  
მოვიდა, ჩემმა ძმაკაცმა კი ხე  
ლი სტაცა და კატლეტების შე  
საწვავად თავისთან შეიყვანა  
მეტე.

ამ ჩემს ძმაკაცს ჩვევად ჰქო

ନେଇ, ଯୁଗେଲାସଙ୍ଗାର ହାଲାପୁ ଏକେଇରା,  
ଯୁଗେଲା ତାବୀସିଦା ସାବିଜ୍ଞାତିକାନ୍ତର  
ମୋହନ୍ତାରୀରୁ । ଆଶ୍ରା ଯି ବ୍ୟେଳ୍ପଦୀ,  
ଖରମ ଚନ୍ଦ୍ରପାତ୍ରକିଷ୍ଣିତ ମାସାକୁ ଏହାଲା  
ପାତ୍ରିନ୍ଦ୍ରାନ୍ତିର ଯାତ୍ରି ସାବେଲୀ କ୍ଷେତ୍ର-  
ନେଇ ଲା ଭୂତିନ୍ଦ୍ରିୟଲ୍ଲାପ ମିଥ୍ୟା  
ଶ୍ରୀ ମୃତ୍ସି ଗାମନ୍ଧିରହିନେଇ, ବିନ୍ଦୁମା  
ପାତ୍ରିନ୍ଦ୍ରାନ୍ତିର ଅର୍ଜୁନ୍ଦେଶ ଦେଇ, ମା  
ଶ୍ରୀରାମ ଏହି କୁରୁକ୍ଷେତ୍ରରେ  
ଅର୍ପାଇଲା ରାଜ୍ୟରୀରା ।

ଓ আবাদগুরু তাৎক্ষণ্যারী দুর্বল  
জাপুনোভিনেশীয়া মিথ্যার্হ গুম্ভুলা  
লুকাবাস তাউরাম্ব কীমতিগুলি আরাজে  
রো শুল্কাবলোদী। যুগ্মাল-যুগ্মাল  
ডা ইদাস কো বের কুইজুক্রীবেরি  
মেগুনোভারো তাউ মিলালাৰ্টুবেড়ি  
কীমি সাক্ষুতারী গুম্ভুলাপুলুবেড়ি  
সুল স্বেচ্ছা রূপেস মিজারনোবেড়ি  
ডা. সক্রিয়াশি অধ্যাচৰো ভূমুহু মি

ଦା ହେଲେ ନା ମନ୍ଦିରକୁ ଶ୍ରୀରାଧାରୀ  
ଗୁ ଶୈଶବୀପ୍ରକାରରୁ ଦୋଷରେ ଦାର  
ତକ୍ଷିତ, ହରମ ସାମିଗ୍ରେଣ ପାଲି  
ପାଲ୍ଯୀ ଗନ୍ଧର୍ବପ୍ରକାରରେ ଦୋଷରେ  
ପ୍ରକାରରୁ ଦା ତୁମ୍ଭୁ ସାମିଗ୍ରେ  
ଶାରୀ ଗୁଡ଼ିପୁରା, ତୁମ୍ଭୁ ଦେଖି  
ଏହି କରୁ ଆ ଗାନ୍ଧିମାରତିଲ୍ଲ  
ଗରୁମାନ୍ତରୁ ହରଦୀ ଦାଵପିଲ୍ଲ  
ରିତ, ମେଘବନଦାଳା ଦାଗବନି  
ନୁହିଲା.

აქ კი სხვაგვარად იყო საბეჭდო მე. თურმე ჩემს ძმაკაცს ი გოგო თავიდანვე შეცყვარებით მე კი არ გამიმხილა. თურმე არი თვე ყოველ ცისძირად დღეს შოკოლადები დაჭერნდა მასთან. თუ ჩემი სატრანზიტო ა

და ხვდებოდა, ძღვენს სასტუ  
მალევე შეუცურებდა. გოგოც  
კისეისით მიირთმევდა ამ შო-  
კოლადებს და დობილებას ც  
უწილადებდა. როგორც თვით  
თონ, ამ ქალებმაც მიამბეს მე-  
რე, ბოლობოლო ეგზომ დი-  
დმა პატივმა და ლოლიავმა გო-  
გოს მოულძო პროვინციულ  
გული და გადაწყვიტა სამაგიე-  
რო სინაზით ეზოო.

ვთქიქრობ, რომ საქმე ასე  
იყო. მე ლარიბი სტუდენტი ვა-  
ყავი, ამიტომაც ერთო-ოჩეგე  
ძლიერ დავპატიჟე ჩემი სატრ  
ფო ლუდნანაში (ლუდის სმა-  
თურებე იმ ფეხბურთელმა მი-  
აჩვია). ალბათ მის ლამაზ თავ  
ში საფასურთა გადაფასება მო-  
ხდა და ასე განსაჯა: ეს საცო-  
დავი მკოცნის და ღრმლადრო  
იაფფასიან ლუდზე მპატიჟებს  
ის არ მკოცნის და მაინც შო-  
კოლადი მოაქვს ყოველდღე  
როცა მაკოცებს, მაშინ რა-  
იზამს?

რა ბევრი გავაგრძელო და  
როგორც კი მივწევდი, ბელი  
სასწორი ჩემი ძმავაცის მხარე  
გადინხარა, ნელ-ნელა ჩამოვ  
ცილდი ორივეს, თუმცა არ  
ერთისოთვის სიტყვა არ მით  
ქვამს.

ქუჩაში ან ინსტრიტუტში შე  
ხვედრისას ერთსაც და მეორე  
საც თავშეკავებით ვესალმშე  
ბოდი და გვერდს ჩავთვლიდ  
ამ ღრძს, ყოფილი სატრაქ  
ისე დალონებული შემომხედ  
ვდა, თითქოს ეწადა სანუგა  
შოდ ეთქვა, ტყუილად გვონი  
ამ ახალმა გატაცებამ ჩემი ლ  
გაზი ფეხბურთელი დამავიწ  
ყოს.

କୀମ୍ବା କମ୍ପ୍ୟୁଟର କେବଳ ଏକ ଉଦ୍ଦିଷ୍ଟ କମ୍ପ୍ୟୁଟର ନାହିଁ ।

ასე გაგრძელდა თითქმი  
ერთი თვე.

ერთხელ იმ ძმაკაცმა შემო  
მიარა, წამო ჩემთან, სამივე  
ერთად ვისალილოოთ; არ მი  
დოდა და მაინც წავყევი. შემ  
შინდა, უარი რომ ვთქვა, შე  
ძლება მიზეზი გვითხოს, მიზ  
ზის ოქმა კი არა მსურდა. ა  
გინდა უთხრა ორი წლის ძმ  
კაცს, უსინდისოდ მოიქეც  
მეთქი? განა იმიტომ, რომ ი

ତାରଗମ୍ବ ଆଶୀର୍ବାଦ ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତାଙ୍କାରୀ.



თუმცა ჭობს ისევ ჩემს თავ-  
ზე ვილაპარაკო. მაინც რად  
ვართმევ ხელს უპატიოსნოს?   
იძიტომ, რომ ჩემი ბუნებით  
არ შემიძლია ვისიმე დასჭა, არ  
შემიძლია, გინდაც მომქალით.  
არა, თავს არ ვიმართლებ,  
მაგრამ არცთუ ბოლომდე ვე-  
რხავ.

ახლა იმ ხალხზე მოგახსევ-  
ნებთ, ვინც ვაჟავაცურად თვალს  
არიდებს ჩამოსართმევად გა-  
მოწვდილ ხელს. მათ რომ პა-  
ტიონსნება მოჰარბებიათ, ეს  
უდავოა და ამ თავისი საქციუ-  
ლით კიდევაც ამტკიცებენ,  
უსინდისობას დიახაც ვგმობთ.

ეს ასეა, კი, ასეც ხდება. მაგრამ ვაი რომ უნამუშობის დამგობთა მეტ წილს სხვა რამ მიზეზი ამოძრავებს, ჩევნი ხელობის წყალობით კი ამ მიზეზის გამოცნობა ძნელი არ აისი. ეს მიზეზი შემდეგი გახლავთ: შენ უნამუშოდ მოიქცი, მე კი არა, მე ჩემი თავი მოვთოვ, შენ კი ვერა. ამიტომაც ნუ გაქვს იმედი, მე რომ ხელი ჩამოგართვა, ღაე, ყველად იცოდეს, უნამუსო კაცი არა ვარ. ეს მაინც დამრჩეს ჩემდა ნუგაშად იმის სანაცვლოდ, რაზეც უარი ვთქვი და რაიც ასე გულით მეწადა.

ვცაღოთ და ფილოსოფურა-  
დაც გავაჩრჩიოთ ეს საკითხი. როგორც ჩანს, ბოროტებას  
ორნაირი მიღვომა აქვს, ორნა-  
ირი დამოკიდებულება. ერთი  
ცდილობს, ბოროტს იქვე გა-  
უსწორდეს და მსოფლიო ჰარ-  
მონია კვლავ დაამყაროს, მეო-  
რე გრძნობს მის უსასრულო  
კავშირს მთელი ქვეყნის ბო-  
როტებასთან დაკარ-ხმალს უმ-  
წეოდ ჰყარის, რაკი იცის, ერთი  
მოსხეპილი ტოტის ადგილზე  
კიდევ სხვა ბევრი ამოყრის:  
„მერე რა? ამოყრის, ისევ  
მოვსხაპავ“, — გაიძახის პირვე-  
ლი. „არა, ჯობს, უფრო გრძე-  
ლი გზა ავრჩიოთ, ხე ბორო-  
ტისა ძირივესვანად უნდა ამო-  
ვდირკვოთ“, ამბობს მეორე  
„ამას ხმა ასი თაობაც ვერ შე-  
იძლებას!“, იტყვის პირველი.  
„თუნდაც ათასმაც ვერ შეიძ-  
ლოს! სხვა გზა არ არის“, ამ-  
ბობს მეორე. „ადამიანი ძალით  
უნდა აქციო კაცად“, ამტკი-  
ცებს პირველი. „ადამიანს და-  
დი დრო უნდა, რომ კაცად იქ-  
ცეს“, ირწმუნება მეორე.

Յուրօ, հռմ իցմ մնչցըլոճա,  
Կոթս առ ոյսե, մոյշովլցըծ  
Տաղապ առ մոնթա դաշտիոր,  
Վուսապ Ծուբեծիս սեպէտտցու

შეუწირავს მთელი სიცოცხლე, არა, ისინიც საჭირონი არიან, ისინიც უნდა დარჩნენ გარკვეული რაოდენობით, მაგრამ თავი და თავი ლაშქარი მაინც ძირფესვიანად ამოძირე ვას სჯობს შევასიოთ.

ისე კი უნდა მოგახსენოთ,  
რომ ეს ტოტების მსხვავნი,  
ბოროტებასთან ეს პირისპირ  
მორკინალი, საქმაოდ უცნაუ-  
რი ხალხი ბრძანდება. აი, მაგა-  
ლითად დგახარ რიგში, ჯერს  
ელოდები, დახლს კი ურიგოდ  
აწყდება ხალხი. კაცური კაცი,  
ფიქრობ გულში, მივა დახლ-  
თან და წესრიგს დაიცავს, რა-  
არის რიგი მაღლე წავიდეს. შენ  
კი რატომლაც ფეხს ითრევ  
ვერ გაგიძედავს, გეშინია, ვაი-  
თ სილა დაიმსახურო! ფიქ-  
რობ იმაზეც, რა კარგია ვაჭრო-  
ბის საქმე ისე მოგვარდეს, რო-  
გში დგომა აღარავის მოუწი-  
ოს. ხანდახან დიდებული აზ-  
რებიც მოგდის თავში ამის თა-  
ობაზე, მაგრამ ისიც იცი, რო-  
შენ ამ გეგმების გამტანი კაცი  
არ ხარ და ვერც იქნები. ამიტო-  
მაც ერთი მძიმედ ამოიოხერებ  
და ისევ შენს რიგს დაელოდე-  
ბი. ამასობაში კი თავხედებ  
უსინდისოდ მიძერებიან და მი-  
ძრებიან დახლისაკვენ.

ვა ვიღაც, დადგება დახლოთა  
და ურიკოდ ალარავის გააქაშეა  
ნებს. რიგიც სწრაფად მიღის  
უკვე, უცემერი ამ საქმიან  
იერის ვაჟკაცს, ვისთვისაც სი-  
ლა არავის გაურტყამს, შენატ-  
რი მის გულადობას, და უცემ  
დიდებული აზრი დაგებადება  
აი, თურმე ვის უნდა გაახდო  
შენი შევენიერი გეგმები, ვინ  
გაიტანს ამ შენს გეგმებს, ვინ  
გადალახავს ყველა დაბრკო-  
ლებას და ხორცს შეასხამს  
შენს ნაფიქრალს, მაგრამ იმავე  
წამს გიქარწყლდება ალტა  
ცება, გული გითქვამს, რომ ეს  
საქმიანი კაცი შენს გეგმებზე  
თავს არ გაიცხელებს, მას აქ  
ხალხის თვალწინ უნდა გამოჩინ  
ნება, თორებ ხალხი რომ არა  
თავს არც კი შეიწუხებდა.

იქნებ სულაც მშვენიერი გვ  
გმებისა და საქმიანი კაცის მო-  
ქმედების ეს საბედისწერო შე-  
ურწყმელობაა მიზეზი მსოფ-  
ლით ისტორიის ტრაგეიდიისა?

სანდახან ეს საქმიანი კაც  
მანამ დგას დახლოთან და თავშე  
ღებს ახლოს არ აჭაპანებს, სა  
ნამ მისი რიგი არ მოვა. მერ-  
იყიდის, რაც უნდა, და ისე გა  
აბიჯებს თავის გზაზე, თითქო  
ამბობს: „ნურც ცვავილებზე  
ნურც მაღლობაზე გაირჩებით  
ჩემთვის ისიც საქმარსია, გუ-

და თუმცა ყველამ იცის, გა-  
მყიდველმა თუ რიგში მდგომე-  
ბმა, რომ მან თავის ჭერს არ  
დაუცადა, რომ დროზე აღწე  
დაიტევირთა საყიდლებით, თუ-  
მცა ყველას სწამს, რომ ასეც  
უნდა ყოფილიყო, რომ წუთი-  
ერი გმირობისათვის რაღაცით  
უნდა ეხეირა, რიგი მაინც ერთ-  
ხანს გაჰყურებს, გაჰყურებს  
ისე, თითქოს ამართლებს და  
იმავე დროს გულიც წყდება,  
უანგარინი რომ ამჯვეყნად არ  
არსებობენ.

მაგრამ, მგონი, შეტისმეტად  
შევტოპე და ის დამავიწყდა,  
რომ ხელგამოწვდილი კაცი წინ  
მიდგას, მე კი არ ვიცი, ჩამოვა-  
რთვა თუ არა ხელი მისი უნა-  
მუსო საჭიროის შემთხვე.

და ბოლოს ხელს მაინც ვა-  
რთმევ, თუმცა ჩემი ხელისგუ-  
ლი უკვე მევე მძაღს. მაშასა-  
დამე, ხელი რომ არ ჩამომერ-  
თმია, უფრო მეტად შემაწუხე-



